ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4562868

ნომერი: AR1680051

თარიღი : 08.05.2019

გაცემის თარიღი : 26.06.2019

გაცნობის თარიღი : 27.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 26ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- სამტრედია

ორგანიზაცია:
- შპს არქი დიღომი კოდი: 405225037

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 08 მაისს NAR1680051 განცხადებით მომართა თენგიზ წულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 26ა-ში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.006.277), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი „2“ ბლოკი „ბ“) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 27 თებერვლის N4392413 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 27 თებერვლიდან 2022 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 12852.3 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 12267.8 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 4918.5 კვ.მ-ის ნაცვლად 4998.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 3386.1 კვ.მ-ის ნაცვლად 3407.5 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 3056.9 კვ.მ-ის ნაცვლად 3031.3 კვ.მ, საერთო ფართობი 24213.8 კვ.მ-ის ნაცვლად 23705.4 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული შეცდომის გასწორება. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N892018401545 მომზადების თარიღი: 11/05/2018 18:51:31) მიხედვით, N01.10.06.006.277 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „არქი დიღომი“ (405225037). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B17087850, მომზადების თარიღი: 29/08/2017 11:00:08), შპს შპს „არქი დიღომი“-ს (405225037) დირექტორს წარმოადგენს თენგიზ წულაია (პ/ნ: 37001018394).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 12267.8 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 4998.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 3407.5 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 3031.3 კვ.მ. საერთო ფართობი: 23705.4 კვ.მ
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადეაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის №4379475 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.